საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 6 25 0000467494

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველო აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივლისის №900977 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ: 1.2 კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, 1 რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 1.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.4 კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია ამოიღეს. ასევე დაამატეს 1 რეკომენდაცია; 1.5 კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, 1 რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 1.5 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია ამოიღეს, შედეგად, 2.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 4.1. კომპონენტში გაცემული 1 რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, თუმცა არ შეიცვალა 4.1 კომპონენტის შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 25 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 04 მარტის სხდომის №224590 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი "სტრატეგიული მენეჯმენტი" (1.4);
- რეკომენდებულია, სტუდენტის შეფასების არსებული ფართო დიაპაზონების ნაცვლად უზრუნველყოფილ იქნას უფრო ობიექტური და სტრუქტურირებული შეფასების ჩარჩო (2.4);
- რეკომენდებულია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხითა და მდგრადი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გაიზარდოს დარგობრივი მიმართულებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა (სტანდარტი 4.1).

რჩევები:

- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მიზნის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს "ანალიტიკოსების" მომზადებას (სტანდარტი 1.2.);
- სასურველია, განახლდეს რამდენიმე ძირითადი საგნის სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები, რათა მათ ასახონ ბიზნესის ყველაზე აქტუალური ტენდენციები და მიღწევები. კონკრეტული საგნები, რომლებსაც ეს ეხება, მითითებულია ზემოთ მოცემულ "აღწერა და ანალიზის" ნაწილში (სტანდარტი 1.5);
- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული) დატვირთვას, რაც გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა უნივერსიტეტებში (ან ორგანიზაციებში) მათ მიერ პარალელურად დაკავებული პოზიციები და მათი საერთო დატვირთვა (სტანდარტი 4.1).
- სასურველია, განხორციელდეს მონიტორინგი, რომ შეფასების აქტივობების მოცულობა და შეფასების სირთულე იყოს კონკრეტული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების პროპორციული (სტანდარტი 2.3).
- სასურველია, პოპულარიზაცია გაეწიოს სტუდენტებში გაცვლით შესაძლებლობებს და წაახალისოთ ისინი, რომ მიიღონ მონაწილეობა (სტანდარტი 3.1).
- სასურველია, მოარგოთ სასწავლო განრიგი სტუდენტების საჭიროებებს, განსაკუთრებული ეს ეხება პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს, მათთვის საღამოს საათებში სასწავლო გრაფიკის დანიშვნას (სტანდარტი 3.1).
- სასურველია, საბაკალავრო პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიეროთ და მხარი დაუჭიროთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებას და კვლევით აქტივობებში მათ მონაწილეობას (სტანდარტი 4.1).
- სასურველია, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება ერთობლივი ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზების გზით, ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული მიზნობრივი ტრენინგ-სესიების ჩატარება. (სტანდარტი 4.3).
- სასურველია, 360-გრადუსიანი შეფასების ყოვლისმომცველი სისტემის დანერგვა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალის გამჭვირვალე ანაზღაურებისა და წახალისების სქემასთან. (სტანდარტი 4.3).
- სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს საავტორო უფლებების მარეგულირებელი წესები იმ სახელმძღვანელოების სრულად გაციფრულებისას, რომლებიც

ხელმისაწვდომია შესაძენად, რათა უზრუნველყოს ამ პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან და საავტორო უფლებების კანონმდებლობის პრინციპებთან, პოტენციური სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით (სტანდარტი 4.4).

- სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიწეროს ბიზნესის სფეროსთან და ბიზნესქეისებთან დაკავშირებული სპეციფიკური ჟურნალები და ბაზები სასწავლო რესურსების შემდგომი გამდიდრების მიზნით (სტანდარტი 4.4).
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში 4.4 ქვესტანდარტის აღწერა უშუალოდ ეხებოდეს საბიბლიოთეკო სერვისებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საბიბლიოთეკო რესურსების უფრო სრულყოფილი შეფასება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად (სტანდარტი 4.4).
- სასურველია, ცალკე გამოიყოს და მკაფიოდ აღიწეროს ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ (სტანდარტი 4.5).

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

დანართი №1

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 31 აგვისტო, გადაწყვეტილება №113
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 25 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 25 თებერვალი